საქართველოს [illegible]
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

№ 150
1877
ივლისის 11, პარასკევი 1903 წ.

ივერია

№ 150
1903
ივლისის 11, პარასკევი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია პირველ ივლისიდან «ივერია» აღარ გაეგზავნება.

პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 6 მანეთად.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 ვითთ—1 მან. 50 კაპ.

ИСЫИДЕБА СУРАМШИ

ისყიდება სურამში

იუნკერთა სასწავლებლის პირდაპირ მშვენიერი საგარაკო ადგილები

„საჩხეიძო“

თვისის მდებარეობით და ჰავით ჰსჯობია ყველა საგარაკო ადგილებს. დასარწმუნებლად ვსთხოვ მყიდველებს ინახულონ ადგილობრივ.

მამული მდებარეობს შოსის გზის პირად, შიგ მამულში გაყვანილია ფართო გზები, მოაგარაკეთა სასეირნოდ დატოვებულია ორი მოზდილი „პარკი“ ფიჭვისა მუხისა, დაპირობების გასაგებათ შეიძლება მიჰმართოთ:

სურამში: კნეინა ევა გიორგის ასულს ჩხეიძისას,

ტფილისში: „ივერიის“ რედაქციის კანტორას და ნოტარიუსს მღებროვის კანტორაში ერევნის მოედანი, სახლი № 2). (30—17).

ტფილისში, ავჭალის ქუჩაზედ,

იჯარით იძლევა

დიდი სახლი, რომელიც სასტუმროდ შეიძლება გადაკეთდეს. ქვემო სართულში სავაჭრო დუქნებია. შემოსავალი 10.000 მანეთს აღემატება. მსურველთ მიჰმართონ შ. დ—ს „ივერიის“ რედაქციაში. (10—3)

ქართული წიგნის მაღაზია

გაიხსნა ავჭალის ქუჩაზედ, რეუტოვის ქუჩის კუთხეში, პაპოვის სახლში, სადაც ისყიდება ყოველნაირი ძველი და ახალი ქართული წიგნები. აქვე ყიდულობენ ძველს წიგნებს, სხვა ენებზედ დაბეჭდილსაც. (10—1)

ს ი ა

ქართვ. შორის წ.-კითხვ. გამავრც. საზ. წევრთა, რომელთაც შემოიტანეს საწევრო ფული 16—30 მაისის განმავლობაში:

№№	სახელი და გვარი	მ.	კ.
201	ნესტორ ი. მასხარაშვილი	6	—
202	ალექსანდრე ს. ხახანაშვილი	12	—
203	ივანე ხაინდრავა	6	—
204	თეოფანე ნანეიშვილი . . .	6	—
205	ეპისკოპოსი ლეონიდი . . .	16	—
206	სიმონ ბ. ლოლობერიძე . .	6	—
207	კნ. ელეონარა გურიელისა .	6	—
208	ვასილი ი. ბეჟანეიშვილი .	6	—
209	ნიკოლოოზ ჯომარჯიძე . .	6	—
210	სპირიდონ ბ. ჯორჯიკია . .	6	—
211	გერასიმე მ. ცაგარეიშვილი.	6	—
212	ალექსანდრე ა. გარსევანაშვილი	6	—
213	იასონ ნიკოლაიშვილი . . .	6	—
214	მღ. ივლიანე აბესაძე	6	—
215	სერგეი ის. რობაქიძე . . .	6	—
216	სილოვან თ. ხუნდაძე . . .	6	—
217	დიმიტრი დ. ლორთქიფანიძე	6	—
218	გიორგი ფ. ასათიანი . . .	2	—
219	გრიგოლ ს. ნორაკიძე . . .	2	—
220	მიხეილ თ. კემულარია . . .	2	—
221	დავით გრ. ბოკერია	2	—
222	ალექსანდრე ი. ეძგვერიძე .	2	—
223	ალექსანდრე ლლონტი . . .	2	—
224	ივანე პ. საინაშვილი	2	—
225	არსენ ნ. ფორჩხაძე	2	—
226	კალისტრატე პ. მელია. . .	2	—
227	პროკოპი კ. გუგუნავა . . .	2	—
228	ნინა ა. გეგელაშვილისა . .	6	—
229	დიომიდე კილაძე	6	—
230	ივანე გიუნაშვილი	6	—
231	ალექსანდრე სარაჯიშვილი .	6	—
		162	—
	სულ წლის განმავლობაში	1836	35

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (На бережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილისქუჩიდან-კი № 34.

[illegible]

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე—ორშ., ოთხშ.. და შაბათ. 10—11.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 11—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და შაბათობით 11—12 ს.

ბრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ვ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ხაზანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ხძოლიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ვ. ა. თარხანოვი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშბთაობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ვ. ხ. ლევი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბაკინა** 7—7— საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. $7^{1}/_{2}$ 8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $8^{1}/_{2}$—8 ს.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გათებსსაუკეხლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Воронцова

(წლ.

ტფილისი, 11 ივლისი.

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, გამოვიდა უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალით ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის საფუძვლად დადებული თანხა 400,030 მანეთი, მის მაგიერ რომ უკანვე დაჰბრუნებოდათ ბანკის დამფუძნებელ თავად-აზნაურებს, რა-კი წარმომადგენლობა შემოვიდა, უნდა მოჰხმარდეს ეხლა მარტოოდენ სწავლის საჭიროებას, როგორც შუამდგომლობდა თვითონ თავად აზნაურობა.

იმერთ თავად-აზნაურობას, რომელსაც წყურვილი სწავლა-განათლებისა დიდი აქვს და ღონის ძიება კი არა ჰქონდა, იშვიათია [illegible]ვამ ერთბაშად მისცა იმდენი საშუალება, რომ თავის შვილთა სწავლის საჭიროებას სრულიად და სასახელოდაც დააკმაყოფილებს, თუ საქმე წაღმართ წაიყვანა. აქ-კი საჭირო მაგალითი და მის გადმოსაღებად შორს წასვლა არ დასჭირდება. მის უფროს ძმას, ამერთ თავად-აზნაურობას, ნათლად გამოურკვევია და ღრმად შეუგნია ის აზრი, რომ, თუ ადამიანი თავის ხარჯით რასმე აკეთებს, იმ საქმის გამგებელიც თვითონვე უნდა იყოს. ამიტომ თუ რამ მოეპოვება სწავლისთვის გადასადები ფული, იმით თვითონვე უძღვება სწავლებას, რასაკვირველია, მთავრობის მიერ მოწონებულის პროგრამის თანახმად, და სწავლის საჭიროებისათვის საკუთარ შენობასაც ისეთს იკეთებს, რომ, არა თუ კავკასიაში, რუსეთშიაც-კი ყოვლად სამაგალითო შეიქმნება. მისი ინტერესია, მისი შვილები რაც შეიძლება მრავლად გამოიზარდოს და ამ კეთილშობილურს წადილს-კი მთავრობის სასწავლებელში ვერ განახორციელებს, იმიტომ რომ მთავრობა არა მარტო ქართველის, არამედ რუსის, თათრის, სომხის და სხვა ხალხის განათლებისთვისაც ზრუნავს და სახელმწიფოს სარგებლობა არ მოითხოვს რომელსამე ერს სასწავლებლის კარი გაუღოს და სხვებს-კი დაუხშოს.

იმერთა თავად-აზნაურობა და მათი მოწინავე და შეგნებული ნაწილიც სწორედ ასე უნდა მოიქცეს ® სწავლის ფული, საკუთარის ღონისძიებით ნაშოვნი, თვითონვე როგორც უჯობდეს, ისე მოახმაროს თავის შვილების განათლებას და საკუთარი შენობაც გაიკეთოს.

ამბად მოვიდა, თურმე სწავლის საჭიროებისათვის შენობა პატარა განუზრახავთ იმერეთში და ეს-კი, ჩვენის აზრით, დიდი შეცდომა იქნება და, ბოლოსაც რომ გასწორდეს, მაინც არ ივარგებს, რადგანაც შენობის პლანის ერთობა დაირღვევა და მიდგმულ ნაშენებს შნო დააკლდება, უმარჯულობა-კი დიდად დაეტყობა. სკოლის შენობა რომ დიდი უნდა იყვეს და არა იმაზედ უმცირესი, რაც ეხლა კეთდება ამერთ სათავად-აზნაურო სკოლისათვის, ამის სასარგებლოდ ბევრი რამ ლაპარაკობს. ჯერ უნდა დავასახელოთ თანხის სიდიდე: თუ ამერთ თავად-აზნაურთა საზოგადოებამ თითქმის უფულოდ დაიწყო სკოლის შენობის საქმე, ვგონებთ, იმერთ სათავად-აზნაურო სკოლის აშენება ადვილად უნდა დაიწყებოდეს ნახევარ მილიონის თანხითა; მეორე გარემოება სკოლის სიდიდის საჭიროებისა მოსწავლეთა სიმრავლეა. ამ ჟამად ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში ასზე მეტი იმერელი მოწაფეა და თუ დროზედ არ იფიქრეს შენობის აგება, ამათი რიცხვი ერთიორად იმატებს, თუ მიიღეს, მაგრამ მოუხერხებელი იქმნება, ვიდრე იმერეთის თავად-აზნაურობა ღონის ძიებით არ დაეხმარება; მესამეა—თვითონ ქუთაისის მოქალაქობა, რომელიც ამ საქმეს ნამდვილ დედობას გაუწევს და ქვასა და სილას მუქთად თუ არა, შეღავათიან ფასად მაინც დაუთმობს; ტფილისი-კი ამერთათვის დედინაცვალია და რას დასდევს, ამათ რა აწუხებს და რა ალხენს. სულ უკანასკნელი თავმოყვარეობა და იმერთ თავმოყვარეობა, კერძო შემთხვევაში ისე [illegible], როგორ უნდა მიიმალოს ისეთ საზოგადო და საშვილიშვილო საქმეშია, როგორც მაგალითად სკოლის შენობის აგებაა, როგორ არ უნდა ამოუდგეს გვერდით უფროს ძმის თავმოყვარეობას?

დიაღ, კეთილ მოშურნეობა ყოველს კეთილს საქმეს თან უნდა ჰსდევდეს თვითონ საქმის წარსამატებლად და რამდენად საჭირო უნდა იყოს ეს მაღალი გრძნობა ადამიანისა, თუ საზოგადოებისათვის, როცა საქმე და მისი სარგებლობა საპირადო-კი არა, საზოგადოა, საქვეყნო?..

ტ ფ ი ლ ი ს ი

სახელმწიფო ქონებათა და მიწად-მოქმედების სამინისტროს გამოუგზავნია თავის რწმუნებულისათვის კავკასიაში დასტამბული 50 ცალი 1 მაისის 1900 წლის კანონისა, ამდენივე უმაღლესად 21 მარტს 1903 წელს დამტკიცებულის წესისა და მინისტრის მიერ შემუშავებულის ინსტრუქციისა, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ სამინისტროს მოხელეებმა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო და საეკკლესიო გლეხთა მოსახლეობის მოწყობისა და მიწის მიზომის დროს. მოხელეები მალე შეუდგებიან მუშაობას.

სამუშაოთა უფროსი გამგე მ. მაჩაბელი მოხელეთა ერთის დასით იმუშავესბ ბორჩალოს მაზრის 42 სოფელში, წალკის მხარეს (თრიალეთისაკენ), სხვათა შორის, რეხაშიაც. მეორე მისი დასი იმუშავებს დიდ ყარაკლისის ნაწილის 25 სოფელში და იქიდგან გადავა ლორის იმ ნაწილში (ბორჩალოს მაზრა), სადაც იქაური მომრიგებელი შუაკაცები უფრო საჭიროდა სცნობენ. საერთოდ მუშაობაში მომრიგებელმა მოსამართლეებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა.

დ. ს. ს—კის მარკოვის დასი წავა მანგლისისა და ალბულაღის მხარეს.

ბ-ნ ფონ-დერვიზის დასი იმუშავებს გუმბრის დანარჩენ ადგილებში.

კიდევ უნდა შესდგეს მოხელეთა 4 დასი და გაიგზავნოს განჯის გუბერნიაში.

◆ ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ მაზრის უფროსს წარუდგენია გუბერნატორისათვის თხოვნა მამულის პატრონის დ. ს. ბერიძისა, რომელსაც განუზრახავს ქალაქის საზღვრიდგან გზატკეცილი გააკეთოს ს. წყნეთისკენ და ცხენის რკინის გზა გაიყვანოს. გუბერნატორს განუხილავს ეს თხოვნა, სასიამოვნოდ დარჩენია ბ-ნ ბერიძეს განზრახვა და თავის მხრივ ყოველს დახმარებას დაჰპირებია. ამასთანავე გუბერნატორს გამოუცხადებია ბ-ნ ბერიძესათვის,—წარმოადგინე გეგმა და ვრცლად განმარტე, რა პირობებით გინდა ეგ გზა გაიყვანო, და მაშინ შენს თხოვნას, ჩემის მოხსენებით, სამინისტროს წარვუდგენ დასამტკიცებლადაო.

◆ ხოჯივანქის სასაფლაოზედ ტფილისში ძველს საფლავის ქვებს ქართული წარწერა აქვს, რომელთა შორის ზოგი XVIII საუკუნეს ეკუთვნის და წარსულთა დროთა ვითარებას შეეხება. წარწერებში ბევრი ქართული გვარიც იხსენიება, რადგან ძველად ქართველებსა და სომხებს, ეტყობა, სასაფლაო ერთად ჰქონიათ. კარგი იქნებოდა ეს წარწერები გადაიღონ, თორემ თანდათან იშლება და სრულიად მოისპობა.

◆ თავმჯდომარემ თ-დ ვ. ნ. არღუთაშვილ-მხარგრძელმა აუწყა ქალაქის საბჭოს, რომ მე დეპეშითა ვსთხოვე გზათა სამინისტროს შეღავათი რამ მიეცა ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის შეგირდებისათვის, რომლებიც მოგზაურობას აპირებენ რუსეთშიო, და პასუხად დეპეშა მივიღე, რომ ტფილისის სახელოსნო სასწავლებელთა სიაში, რომლის შეგირდებსაც ფასდაკლებული ბილეთები ეძლევათ მოგზაურობის დროსაო. ქალაქის მოურავს დეპეშითვე მადლობა მოუხსენებია სამინისტროსათვის. მოსწავლეთა სამგზავროდ გადადებული იყო 721 მანეთი. აქედგან თითქმის ნახევარი დაიზოგება. საბჭომ სიამოვნებით მოისმინა ეს ამბავი და მადლობა გამოუცხადა თავმჯდომარეს.

◆ ამ თვის თხუთმეტისათვის ქუთაისში დანიშნულია კრება წყალ-მილისა და ტრამვაის ამხანაგობისა. კრება განიხილავს, არა თუ საქმის მარტო ახლანდელ მდგომარეობას, არამედ იმ ღონისძიებათაც, რომელთა შემწეობითაც შესაძლო იქნება საქმის დაჩქარება და საჭირო კაპიტალის მოპოვება. კრებაზე დასასწრებლათ აპირებენ წასვლას ტფილისში მცხოვრებნი წევრნი ხსენებულის ამხანაგობისა: თ-დი გ. ნ. დიასამიძე, არ. ს. ბაბოვი ს. ჰრელაშვილი და თ-დი რ. ამირეჯიბი.

◆ ჩვენ გვქონდა დაბეჭდილი სია იმ ახალგაზრდებისა, რომლებმაც წელს ტფილისის 1 გიმნაზიაში სწავლა დაამთავრეს. ამ სიაში არ შეგვიტანია გრიგოლ აბელაშვილი, რომელმაც წელს იქვე დაამთავრა სწავლა.

◆ ტფილისის განაპირა ადგილებზე რომ ბოროტ-განმზრახველები დათარეშობენ, მათგან კიდევ რამდენიმე კაცი დაუტუსაღებიათ. აი მათი ვინაობა: ადამა მელოშვილი, დუშეთის მაზრის ს. შანკევანის მცხოვრები. ამას ჰბრალდება, რომ ამ ზამთარს მოჰკლა ზემო-ავჭალაში დაზინის მოსამსახურე და ამ ივლისის პირველ რიცხვებში ცხენები მოჰპარა თათრებს ღრმა ღელეში. ეხლა ცხენები იპოვეს და პატრონებს ჩააბარეს. ტუხა (იგივე განო) ზურაბაშვილი, ს. საგურამოს მცხოვრები. ამასა ჰბრალდება, რომ ივლისის პირველ რიცხვებში ბ-ნ ტუსიშვილს ცხენი მოჰპარა და სხვა ქურდობაც ჩაუდენია; ნაქურდალს აბარებდა სახაშეს პატრონს იბრაჰიმ-სულეიმან-ოღლის ტფილისში, კახეთის ქუჩაზედ. ვინმე ბუდნიაშვილი, ს. გორგო-წმინდის მცხოვრები, რომელიც თითქმის სულ სატუსაღოში ატარებს სიცოცხლეს. ამას მრავალი ქურდობა ჰბრალდება და ისიც, რომ ერთს სომხისათვის ს. დაგეთში მოუპარავს ცხენი და ს. ძეგვში მიუყიდნია მედუქნისთვის.

◆ დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი წიგნაკი თ. მაგმაძესი „კალმის მონასმი“, ესკიზები, სცენები, ამბები და სხვ. წიგნი ძალიან სუფთად არის დაბეჭდილი შეიცავს 148 გვერდს და ჰღირს ხუთი შაური).

—

ქალაქის საბჭო—9 ივლისი. მეათე საათი იყო, რომ ხმოსანთა საჭირო რიცხვი შეიკრიბა და საბჭო შეუდგა საქმეების განხილვას.

განხილულ საქმეთა შორის განსაკუთრებულის ყურადღების ღირსი არა იყორა და ხმოსნები სრულიად უმნიშვნელო საგნებზედ აგრძელებდნენ ლაპარაკს. მაგალითად, ხანგრძლივი ლაპარაკი გამოიწვია ბ-ნ მიროტინის თხოვნამ 6 მანეთის შესახებ. ბ-ნ მიროტინს სახლი უყიდნია და ყოველივე გარდასახადი სრულიად შეუტანია ნასყიდობის ქაღალდის დამტკიცებამდე. ხოლო შემდეგ აღმოჩენილა, რომ ბ-ნ მიროტინის სახლზე ქალაქის გარდასახადი დარჩენილა 6 მანეთი. ხმოსნები შეკამათდნენ, უნდა გამოერთვას თუ არა ახალ სახლის პატრონს ეს გარდასახადი. კარგა ხანს ილაპარაკეს აგრედვე იმის გამო, რომ ქალაქის ქარხანა ვერ ასდის წყალ-მილის სამუშაოს და ზოგჯერ სხვა ქარხნებს აძლევენ საქმეს, როდესაც თვით ქალაქის ქარხანა უნდა ასრულებდეს კერძო საქმეებსაც, რასაც სახლის პატრონები შეუკვეთენ.

ამ დროს გატარებაში მოულოდნელად ისეთმა საქმემ გამოჰყო ფეხი, რომ მართლა სალაპარაკოც და თავ-საცემიც არის. ეს გახლავთ ისევ ის ქალაქის საყასბო.

ხმოსანი არ. ბაბოვი ამას წინად შეჰკითხებოდა ქალაქის გამგეობას, რა თანხა და ნაღდი ფული აქვს ქალაქს გადადებული საყასბოების მოსამართად? ამის პასუხი ხმოსანმა მხოლოდ დღეს მიიღო. გამგეობის წევრმა თ-დმა ვ. ჩერქეზიშვილმა წაიკითხა ანგარიში, რომლიდგანაცა სჩანს, რომ 25 ივნისს საყასბოებსა ჰქონიათ საქონლითა და ნაღდ ფულად 38,000 მანეთამდე, ხოლო ამავე დროს უნდა გაესტუმრებინა სხვა-და-სხვა ვალი 19,000 მანათი. ამას გამგეობის წევრმა ისიც დაუმატა, რომ დღეს საყასბოები ისე მოეწყო, რომ ყოველ დღე ხორცის ვაჭრობისაგან რჩება 100 მანათი მოგება. რაკი ხმოსანმა ბაბოვმა პასუხი მიიღო, საქმე ამით უნდა გვთავებულიყო. მაგრამ ერთმა-ორმა კითხვამ სულ გამოჰქექა საქმე. თუმცა საყასბოს გამგე კომისიის ახალი წევრი, ხმოსანი ევანგულოვი სცდილობდა საქმე ამ ხანად მიეფუჩეჩებინა, ისეთს ნურას იკითხავთ, რის პასუხიც არ შეგვიძლია მაშინვე მოგცეთ, რადგანაც ყოველი ამისთანა კითხვა ეჭვს გამოიწვევს ხალხში ჩვენ მიერ დაწყებულ საქმის შესახებ, რომელსაც გულმხურვალედ და სიყვარულით უნდა ვეპყრობოდეთო. ამან უფრო აალაპარაკა ხმოსნები. ზოგი ამბობდა, რომ სიჩუმით საქმე არ გაკეთდება, პირიქით, ყოველივე უნდა ცხადად კეთდებოდეს და საქმის გარემოება წინდაწინ ვიცოდეთ, რომ ისეთი განსაცდელი ავიცილოთ, რომელიც საქმეს სულ დაჰღუპავსო. ზემოდ მოხსენებულ 38,000 მანათში ის 15,000 მანათიც ყოფილა ნაანგარიშევი, რომელიც ეხლახან გადასდო საბჭომ საყასბოების აღებ-მიცემობის გასაძლიერებლად. ამრიგად საყასბოს, ვიდრე ეს ახალი დახმარება აღმოუჩნდებოდა, მხოლოდ 23.000 მანათამდე ჰქონია, ფულით და საქონლით; ეს-ღა დარჩენია იმ 50,000 მანეთიდგან, რომელიც თანხად გადიდო საყასბოებისათვის, როცა საქმეს იწყებდნენ. მაშასადამე, 22,000 მანათამდე ზარალი ყოფილა. ბოლოს ისე გასჭირებია საქმე საყასბოს გამგე კომისიას, რომ ვალების გასტუმრებას ვერ ახერხებდა, თუ საბჭოს 15,000 მანათი არ მიეცა. ამ ვალებმა ხომ სულ გაამწვავა ზოგი ხმოსანი. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ნაღდის ფულით გვევაჭრნა და არა ნისიებითაო, კომისიას ნება არა ჰქონდა ვალების აღებისაო; მაგ ვალების ბრალია, რომ აქამომდე საქმის გარემოება არ ვიცოდით და არ გვეგონა, თუ ზარალი გვეძლევაო. ეგრე რომ ვიაროთ, შეიძლება ის თანხაც გაწყალდეს, რომელიც დღეს არის, და სხვა ვალების გასტუმრებაც დაგვიჭირდესო. ბევრის ცხარე ლაპარაკის შემდეგ საბჭომ დაადგინა დაევალოს კომისიას, რომ ორ კვირაში ერთხელ წარუდგინოს გამგეობას სრული ანგარიში, როგორც მიდის საქმე.

რადგანაც ამ საღამოსათვის დანიშნული საქმეები სრულად ვერ განიხილა საბჭომ, ქალაქის მოურავმა გამოაცხადა, რომ დანარჩენს საქმეებს შემუშავება უნდა და მათი მოხსენება ეხლა შესაძლოდ არ მიმაჩნიაო.

კრება ღამის 12 საათზე დაიშალა.

კიევის სასულიერო აკადემიის რექტორის ყოვლად-სამღვდელო პლატონის საქართველოში მობრძანების მამო.

კიევის სასულიერო აკადემიის აწინდელი რექტორი ყოვლად-სამღვდელო პლატონი ერთი ღრმად განათლებული მღვდელ-მთავართაგანია რუსეთის ეკკლესიაში. მშვენივრად აქვს შესწავლილი საეკკლესიო არქეოლოგია და დიდი თაყვანის მცემელია იმ ქვეყნისა, რომლის წარსულიც მართლ-მადიდებლობის შუქით არის გაბრწყინებული.

ყოვლად-სამღვდელო პლატონმა განათლება დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემიაში და იმ თავითვე ენატრებოდა საქართველოს ნახვა. როგორც თაყვანის-მცემელი საქართველოს წარსულისა, ხელს უწყობს ქართველს ახალგაზრდებს, რომელნიც ხსენებულს აკადემიაში სწავლობდენ,—საქართველოს ისტორიის გამოკვლევის საქმეში. 1896 წლამდე კიევის სასულიერო აკადემიაში ქართველს სტუდენტებს კანდიდატის ხარისხის მისაღებად მეოთხე კურსზე უნიშნავდნენ თემებს საქართველოს ისტორიიდან. შემდეგ მცირეს ხნით მოსპეს იქ ქართველთათვის ასეთის თემების მიცემა. მაგრამ როდესაც რექტორად დანიშნულ იქმნა ყოვლად-სამღვდელო პლატონი —ქართველ სტუდენტებს ამ აკადემიაში უფრო კარგი დრო დაუდგათ.. ყოვლად-სამღვდელო პლატონმა იცოდა, რომ საქართველოში არის ისეთი ორი წიგნთ-საცავი, რომლებშიაც ინახება აუარებელი ძველი ხელთ-ნაწერი, საყურადღებო სწავლულთა და მეცნიერებისათვის. ჩვენ ვამბობთ საეკკლესიო სიძველეთ-საცავისა და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთსაცავის შესახებ.., ყოვლად-სამღვდელო პლატონმა ინახულა ყოვლად-სამღვდელო დიმიტრისთან ერთად პირველი წიგნთ-საცავი და თავისი შთაბეჭდილება შემდეგის სიტყვებით აღნიშნა მნახველთა წიგნში: „7 ივლისს, 1903 წ. იყო აქ, მუზეუმში კიევის სასულიერო აკადემიის რექტორი, ეპისკოპოსი პლატონი და განცვიფრებულ იქმნა იმ ხელთ-ნაწერთა სიმრავლით, რომელიც უძვირფასესი განძია საეკკლესიო ისტორიისა და საღვთისმსახურებო ცოდნისათვის და რომელიც არ უწყის ჯერ მეცნიერებამ და ქვეყანამ. ვსთხოვ ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება ამ სამს შკაფს, რომელშიაც ინახება მეტად იშვიათი საუნჯე“...

იმავე დღეს ყოვლად სამღვდელო პლატონი ყოვლად სამღვდელო დიმიტრისთან ერთად ბრძანდებოდა საეკლესიო სკოლის მასწავლებელთა კურსებზე, სადაც მოისმინა გალობა ქართულად და ბერძნულად. მათს მეუფებას ბერძნულ-ქართული გალობა დიდად მოეწონა. წაბრძანებისას მათმა მეუფებამ მასწავლებელთა წინაშე სთქვა შემდეგი: „ბედნიერი ვარ, რომ მე დღეს საეკლესიო მუზეუმი ვნახე. რა ძვირფასი მეცნიერებისათვის საუნჯე ინახება ამ სიძველეთ—საცავში!! ბედნიერად ვსთვლი ჩემს თავს, რომ მეღირსა მისი ნახვა. დიდს ხანს ვსტკბებოდი მის საუნჯეთა ცქერით და დაღალვა ვერც-კი ვიგრძენი“...

შემდეგ მოკლე სიტყვის დასასრულს წინ მასწავლებლების წინაშე შემდეგი აზრი გამოსთქვა: „ისე უნდა განვითარდეს ხალხთა ზნეობა, რომ არ არსებობდეს განსხვავება რუსსა, ქართველსა და ბერძენს შორის, ვინაიდგან ყველანი თანასწორად ღვთის შვილები ვართ“.

ყოვლად სამღვდელო პლატონის ნახვით და მისის ბრძნულის სიტყვით სოფლის სკოლების მოღვაწენი დიდად ნასიამოვნები დარჩნენ და დიდს ხანს არ დაავიწყდებათ დღე მათის მეუფების [illegible]

8 ივლისს ყოვლადსამღვდელო დიმიტრისთან ერთად ყოვლად სამღვდელო პლატონმა მცხეთის საპატრიარქო ტაძარი ინახულა. მათს მეუფებას ტაძრის ეზოში მიეგება ბ-ნი ას. ნატროშვილი, რომელმაც მიართვა თვის მიერ შედგენილი წიგნი სვეტის-ცხოვლის ტაძრის შესახებ უძვირფასეს ფოტოგრაფიულ სურათებით და ყდით. იგივე ნატროშვილი ყოვლად სამღვდელოს უხსნიდა დაწვრილებით ტაძრის სხვა-და-სხვა ნივთების და საგნების ამბავს. ყოვლად სამღვდელო პლატონმა სწორედ მეცნიერულის სიდინჯით გასინჯა ტაძარი და მისის სიძველით აღტაცებაში მოვიდა... მათის მეუფების აზრით, მხოლოდ ერთს უვიცობას შეუძლიან ქირდვით მოექცეს საქართველოს სიძველეთა და მეცნიერს უვიცობასთან საერთო არა უნდა ჰქონდეს რა.. საქართველოს სიძველენი დიდის გამოკვლევისა, მათი გაცნობა მეცნიერებისთვის აუცილებლად საჭიროა. საქართველოს ეკკლესია, მათის მეუფების აზრით, არ იყო კერძო ეროვნული ეკკლესია,—არამედ იგი იყო ეკკლესია მთელის ამიერ-კავკასიისა და ამის გამო მის ისტორიას დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო ეკკლესიისათვის.

ნამდვილი მეცნიერი რუსი სწორედ ყოვლად სამღვდელო პლატონის აზრისაა საქართველოს შესახებ... მართლაც, მეცნიერებას საერთო არა აქვს რა საძრახისსა და ქვენა გრძნობათაგან გამოწვეულ ქირდვასთან, რომელსაც აზრად აქვს ჩვენის ერის წარსულს წაართვას განზრახ უტყუარი და სასიქადულო ღირსება. ხოლო ნამდვილი მეცნიერი უნებურად იმორჩილებს ჩვენს სხეულს და გულს. ჩვენც მუხლს ვიდრეკთ ასეთ მეცნიერის წინაშე და გულის სიღრმიდამ ვუძღვნით მადლობას არა მოწყალებისათვის,—არამედ ჩვენის წარსულის ჭეშმარიტ და მიუდგომელ დაფასებისათვის.

მუხლს ვიდრეკთ მეცნიერისა და მეცნიერების წინაშე, რომელთაც საერთო არა აქვთ რა სიტყვების რახა-რუხსა და განზრახ აკინძულ მჭევრმეტყველებასთან..

ყოვლად სამღვდელო პლატონმა, დიდად აღტაცებულმა საქართველოს სიძველეთა ნახვით, ნება დართო წელს კიევის სასულიერო აკადემიაში მეოთხე კურსზე გადასულს ქართველ სტუდენტს კორნელი კეკელიძეს დასწეროს თხზულება შემდეგს თემაზედ: Литургическіе памятники грузинской церкви“. ბ-ნი კეკელიძე, ყოვლად სამღვდელო დიმიტრის ნებართვით, მუშაობს ამ ჟამად საეკლესიო სიძველეთ საცავში...

უეჭველია ქართველი სტუდენტები ზემოხსენებულ აკადემიისა მცირე სამსახურს მაინც გაუწევენ მსოფლიო ეკკლესიის მეცნიერულად შესწავლის საქმეს,—ამ სამსახურში, უეჭველია, წილი ექმნება ღრმად განათლებულს აწინდელს რექტორს კიევის სასულიერო აკადემიისას, ყოვლად სამღვდელო პლატონსაც.

ილ. ფერაძე

ქართული თეატრი და მისი რეჟისურა.

უეჭველია, ყველამ უწყის, თუ რა არის რეჟისორი, რა თანამდებობაა, რა ძალაა სცენისათვის და რის მომქმედია.

რეჟისორის მთავარი საგანი არის პიესის ხელოვნურად დადგმა, დრამატიულ ნაწარმოების სრულიად გაპიროვნება, ბუნებრივი სისხლ-ხორცის შესხმა, სინამდვილის—ცხოვრების დამსგავსება.

ყოველისავე წარმოდგენის სულის ჩამდგმელი მხოლოდ რეჟისორია, ისე, როგორც გუნდის სიმღერებში მისი ლოტბარი, და როგორც ორკესტრში მისი კაპელმეისტერი—დირიჟორი.

რეჟისორს განვითარებული ჭკუა და გემოვნება უნდა ჰქონდეს და ამასთანავე განსაკუთრებული უნარიც—პიესების ყოველ მხრივ დაფასებისა და ავტორის აზრის შეგნებისა.

რეჟისორი წარმოდგენებს ჰმართავს სამის მასალის შემწეობით; ეგ არის—პიესა, მსახიობნი და სცენიური მოწყობილობა—აქსესუარი.

რა თქმა უნდა, რაც უფრო შინაარსიანი და მდიდარია ზემოდ ჩამოთვლილი მასალა, მით უფრო ადვილდება რეჟისორის საქმე და მოღვაწეობა;—დიდი რამ არის კარგი პიესა, ნიჭიერნი და განათლებულნი მსახიობნი, მდიდრული და სრული მოწყობილება. ამისთანა გარემოებაში გამარჯვებაც ადვილია და მაყურებლებზე მძლავრი და ნაყოფიერი ზედ გავლენაც!..

მაგრამ მაგარი ის არის, რომ ზოგი რეჟისორი შეიძლება ყველა ამ საუცხოვო გარემოებაშიაც იყოს და მაინც ვერას გახდეს, იმიტომ-კი არა, რომ თვითონ არ ვარგოდეს. არა, შესაძლო, რეჟისორი ცოდნითა და გემოვნებით იყოს აღჭურვილი, შესაფერი ნიჭი და უნარიცა ჰქონდეს, მაგრამ მაინც ვერ მიაღწიოს სასურველ ნაყოფს..

ამაზე დაწვრილებით ქვემოდ მოვილაპარაკოთ და ეხლა-კი წარმოვიდგინოთ ისეთი ორკესტრი, სადაც დამკვრელათ სხედან გამოჩენილნი და ცნობილნი მემუსიკენი: ვაგნერი, ვერდი, შოპენი, მეიერბერი, რუბინშტეინი, ლისტი, ბეთჰოვენი, მასენე, პუჩინი, მასკანი და სხვა, ხოლო მათ ლოტბარად—ჩვეულებრივი მომაკვდავი, მაგრამ მუსიკის მცოდნე ნიჭიერი ლოტბარი.

როგორ გგონიათ, ამისთანა ორკესტრის მიერ დაკრული მუსიკა დიდებული იქნება, თუ ჩვეულებრივი და, პირიქით, სუსტი და უფერულიც! შეიძლება ასეც იყოს და ისეც. ეგ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ექნებათ წარმოდგენილი თავიანთი მოვალეობა ორკესტრში მსხდომ მემუსიკეთ: პირად ღირსებათა გამოჩენა, თუ გადაწყვეტილ სიმფონიის შესრულება. პირველ შემთხვევაში მათ მიერ შესრულებული მუსიკა უფერული და სუსტი იქნება, ხოლო მეორეში—ფეროვანი და მძლავრი.

ეხლა თუ წარმოვიდგენთ ორკესტრს ნორმალურს ვითარებაში, ესე იგი, როცა ორკესტრში სხედან ჩვეულებრივი მემუსიკენი, გამსჭვალულნი იმავე აზრით, როგორც მათი ლოტბარი, ესე იგი, საუკეთესო ნაყოფის გამოღებით, მაშინ ეჭვს გარეშეა, რომ ამ ორკესტრის მიერ შესრულებული სიმფონია ბევრად სრული იქნება და საამოც, ვიდრე იმ ორკესტრისა, რომლის წევრნი (დიდად ნიჭიერნი) მხოლოდ თავიანთ თავზე ფიქრობდნენ და არა საერთო ზედგავლენაზე მსმენელებისათვის.

ამასვე ვხედავთ ყველა სცენაზე, რა თქმა უნდა, იმ განსხვავებით, რომ ზოგან თავგასული პიროვნება შეზღუდულია, ზოგან-კი არა.

შეუძლებელია, რომ ყველა მსახიობნი ერთისა და იმავე ნიჭისა და ერთნაირად

---

*) იხ. ,,ივერია“, № 148.

ფელეტონი

საარაკო გადათქმა

(ვუძღვნი ყოველს სიმართლის მოყვარეს).

უკეთესი იქნებოდა, რომ ეს სიმართლე სხვა რომელსამე პედაგოგს გამოეთქვა. ამის იმედს კიდეც იძლეოდნენ, მაგრამ დაკმაყოფილდნენ იმითი, რომ რედაქტორს ჟურნალი უკან დაუბრუნეს, მიღებაზე ჩუმი უარი სთქვეს. და რამ გამოიწვია ეს უარ-ყოფა გამოცემისა, ამაზეკი საჯაროდ კრინტი არ დასძრეს. მეტი გზა არ არის, ისევ ჩვენ უნდა ამოვიღოთ ხმა და ჩვენთა მტერთა რიცხვს ერთი დუშმანი კიდევ მივუმატოთ. ვერაფერი ბედია, მაგრამ რა გაეწყობა?

იქნება ჩვენ კიდევ დაგვეხანებინა და სხვებისათვის მიგვეცა მეტი დრო და ჟამი სიმართლის გამოქადაგებისათვის, თუ რომ ამ სიჩუმეს არ გაეთამამებინა ლაღი რედაქტორი და იგი რიხიანი მუქარით არ გალაშქრებულიყო იმათ წინააღმდეგ, რომელთაც მცირეოდენი მართალი სთქვეს მის საარაკო უკულმართობის შესახებ. „ჩვენ იქამდის არ დავცხრებით, ვიდრე ძირიან-ფესვიანად არ დავანგრევთ და არ დავფუშავთ ჩვენის მძინარა პედაგოგიის განცხრომა-მოსვენებასაო“,—ამბობს იგი მრისხანე ივანეს კილოთი თავისი ჟურნალის უკანასკნელ ნომერში.

სხვისა რა მოგახსენოთ და, ჩვენ შესახებ აი რას ვეტყვით ამ ლაღს რედაქტორსა: ღმერთმა ნუ მოაკლოს ყოველ ორგულსა და მოშურნეს ის ტკბილი ძილი და განცხრომა, რომელიც ჩვენ წილად გვარგუნეს შინაურმა და გარეულმა პოლიტიკანებმა მას უკან, რაც ჩვენ თითქმის ორმოცის წლის წინად საზოგადო საქმის უღელში შევებით. ამაზე უარესს ჩვენ ვერას მოვიგონებთ მოშურნეთა დასასჯელად ..

ამ წინასიტყვაობის შემდეგ შევუდგეთ საქმესა და მოვფინოთ მას სრული ნათელი.

14 იანვრის საღამოა. სამეურნეო საზოგადოების ვეებერთელა დარბაზი ისე სავსეა, რომ ნემსის ყურწი არსად ჩავარდება. აქ არიან დირექტორები, ინსპექტორები, პედაგოგნი, მეურნენი, სასულიერო პირები, ინტელიგენტნი, ჟურნალისტები. არიან წარმომადგენელნი რუსთა, ქართველთა, სომეხთა, თათართა და სხვათა ხალხთა კავკასიისათა. თავმჯდომარე კრებისა, ყველასაგან დიდად პატივცემული სულთან-კრიმ-გირეი პირადად კითხულობს მოხსენებას შესახებ დედა-ენის მნიშვნელობისა სწავლა-ცოდნის გავრცელებისათვის ხალხში. მოხსენება მშვენივრად არის დასურათებული და მთელს სალაროს ძლიერის არგუმენტებისას წარმოადგენს. მსმენელთა გულსა და გონებაში იგი ახდენს ღრმა შთაბეჭდილებასა. გარდა პოლიტიკანებისა ყველანი ივსებიან სიხარულით, იმედით, მხნეობით და მადლობას ჰგრძნობენ ამ ჩინებულის მოხსენების შემადგენელთ ნატროშვილის და თავმჯდომარისადმი. თითქმის საერთო სურვილია, რომ მოხსენება მიღებულ იქმნას უბაასოდ და ერთხმივ. მაგრამ ამ დროს მოითხოვს ლაპარაკის ნებას ერთი ქართველი პედაგოგი, ბ-ნი ივანე პავლეს ძე როსტომაშვილი და მოხსენებას გამოაბამს პოლიტიკანურს კუდსა. თქვენაო,—ამბობს იგი, სასწორი ძლიერ გადაგიხრიათ დედაენისაკენაო, რომელზედაც სწავლება უნდა მიდიოდეს, თქვენის პროექტით, სამსა და ოთხს წელიწადსაო, ხოლო რუსული ენაკი უნდა ისწავლებოდეს, როგორც ცალკე საგანიო. ეს მავნებელია სახელმწიფო ენის ინტერესისათვისაო. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ საშუალო სასწავლებლებში ნემეცურსა და ფრანგულს ენას მოწაფენი ვერა სწავლობენო, და იცით რატომაო? იმიტომ რომ ამ ენებზე საგნები არ ისწავლებიანო. სახალხო სკოლაშიც ესევე დაემართება რუსულს ენასა, თუ მეორე წლიდანვე ყოველ საგანს რუსულ ენაზედაც არ ასწავლითო, და სხვანი.

თავმჯდომარე, რომელიც სრულიად არ მოელოდა ამ გვარს მსჯელობას, ამგვარს წინააღმდეგობას, მეტადრე ქართველი პედაგოგისაგან, ცხადად შეძრწუნდა. მდივანი საზოგადოებისა, ეგნატე იოსელიანი, ჩაიფუფქა; მის პირდაპირ მჯდომი პოლიტიკანი და სხვა პოლიტიკანები წელში გაიმართნენ და ღიმილმა დაუწყო მათ თამაშა პირისახეზე. ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამ დრომდე ნამდვილი ბურჯივით იმედიანად იჯდა, აშკარად შეწუხდა და თავი ძირს ჩაჰღუნა. შეაძრწუნა და აღელვა როსტომაშვილის ნათქვამმა თვით განხორციელებული მოთმინება, ქართველი იობი ჩვენის დროისა. „Это будетъ водотолченіе“, ხმა-მაღლა მიაყვირა (დიაღ, მიაყვირა) როსტომაშვილს დარბაისელმა პეტრე უმიკაშვილმა, და ისე აშკარად დაარღვია წეს-რიგი, რომ თავმჯდომარე იძულებული გახდა შენიშვნა მიეცა მისთვის. ჩვენმა პოლიტიკანმა თავისი მსჯელობა მაინც გააგრძელა, თუმცა შერცხვენილი კილოთი კი, და ბოლოს დაჯდა.

დადგა წამი საარსო მხილებისა. ქართველი პედაგოგები ერთმანეთს სთავაზობდნენ სიტყვის წარმოთქმასა და სიჩუმემ კარგა ხანი გასტანა. ბოლოს მოითხოვა სიტყვა იაკობ გოგებაშვილმა და დაახლოვებით შემდეგი სთქვა:

„ბ-ნი როსტომაშვილის აზრი“,—სთქვა მან,—ძირიანად ეწინააღმდეგება ყოველს პედაგოგიურს შეხედულობასა. მოგეხსენებათ, რომ ბავშვი მალეც იხსომებს ყოველიფერს, და მალეც ივიწყებს, მალეც უნათლდება აზრი, და მალეც უბნელდება. ვსთქვათ, თქვენ გაკვეთილი აუხსენით დედა-ენაზე და მერე გადაუთარგმნეთ უცნობს ენაზე. რა ხდება ამ შემთხვევაში? გაუგებარი და ბნელი ენა უბნელებს ბავშვს აზრსა; რევს მას და ფუშავს მის გონებაში იმას, რაც აშენდა ნაცნობი დედა-ენის შუამდგომლობით. როგორ უნდა ისწავლოს ბავშვმა მეორე წლიდან რუსულს ენაზედაც საგნები, როცა მან იცის მხოლოდ ასიოდე სიტყვა, და მათ დაკავშირებას სრულიადაც არ არის შეჩვეული? მან უნდა ან ზეპირად ისწავლოს სიტყვა-სიტყვით და კბილაობით გიჩნება დაიხშოს, ან არა და თავისი სიტყვით სთქვას. მაგრამ ეს სიტყვა რომ არ მოიპოვება სახსოვარში? უკანასკნელს შემთხვევაში ბავშვი იძულებული იქმნება ეწვალოს, ეწამოს, იხმაროს ყოვლად საძაგელი რუსული ჟარგონი, რომელიც ღრმად გაიდგამს ფესვებსა მისს გონებაში და შემდეგშიაც კი დიდად დააბრკოლებს წმიდა რუსულის შესწავლასა. არა ნაკლებ წვალებაში იქმნება მასწავლებელიცა.

„ამას გარდა,—განაგრძო გოგებაშვილმა, ის გაკვეთილი, რომელიც ბავშმა დედა-ენაზე შეითვისა ერთის საათის განმავლობაში, რუსულს ენაზე შეთვისებისათვის მოითხოვს სამსა და ოთხს საათსა. მაშასადამე, ერთი საათის მასალას ამ შემთხვევაში ბავშვი მოუნდება ოთხს საათსა, და მხოლოდ მეოთხედს მოასწრებს ყოველი საგნის პროგრამიდგან. ისედაც სახალხო სკოლა იძლევა ძლიერ მცირე ნაყოფსა და ბ-ნი როსტომაშვილის აზრი რომ იქმნას მიღებული, სკოლა მოგვცემს მხოლოდ მეოთხედს ამ ღატაკი ნაყოფისას. თვით რუსთა პედაგოგი ბობროვნიკოვი ორს ენაზე საგნების სწავლებას სახალხო სკოლებში სთვლის მეტად მავნებელ ხერხად და უარ-ჰყოფს მას. თუ ჩვენი სკოლის ნაყოფიერება გვენატრება, სწავლა ყველა საგნებისა ერთს-კლასიანს სკოლაში უნდა დავაწყოთ დედა-ენაზე კურსის გათავებამდე, და რუსული ენა

დახელოვნებულნი იყვნენ. ერთი უფრო ნიჭიერია, მეორე ნაკლებ, მესამეს მარტო უნარი და აქვს, მეოთხეს არც ნიჭი და უნარი აქვს, გამოცდილებისა და დაკვირვების გარდა, და მებრვე სხვა. რა თქმა უნდა, ნიჭიერს უფრო ბევრი ეძლევა, მეტი პატივიცა აქვს და სხვა, მაგრამ ზოგნი ამით როდი კმაყოფილდებიან და ბოროტად სარგებლობენ თავიანთის ნიჭის უპირატესობით; სცენაზედაც „პირველობას“ ჩემულობენ და ეგ მათი „პირველობა“ უწინარეს ყოვლისა იმაში გამოიხატება, რომ რაც შეიძლება მეტი თვითნებობა გამოიჩინონ, ითამაშონ მხოლოდ „პირველი“, ესე იგი, საუკეთესო როლები, და, თუ ვინიცობაა პიესაში „პირველი“ როლები არ არის ან არა და „პირველ“ მსახიობს როგორმე როლი არ შეჰფერის, მაშინ, არა თუ არ თამაშობენ ამისთანა პიესაში, პირ-იქით, პიესასაც-კი იწუნებენ და სწორედ ეგ არის მიზეზი, რომ ხშირად სხვა-და-სხვა სცენაზე ისეთი პიესები იდგმება, რომელიც საზოგადოებას დიდი ხანია მობეზრებული აქვს, მაგრამ „პირველი“ მსახიობნი-კი პირველ როლში იპრანჭებიან...

ეს „პირველობა“, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ძალმომრეობა ყველა ნიჭიერ მსახიობს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი და, არა თვითონ მსახიობთ, არამედ თეატრის გამგეთაც, რეცენზენტებს და თვით მაყურებელ საზოგადოებასაც აგრე ესმით პირველობა, თითქოს პირველობა ის იყოს, რომ ნიჭიერი მსახიობი მარტო საუკეთესო როლებს ასრულებდეს და არა პიესას, მის დედა აზრს, ავტორისა და რეჟისორის განზრახვას ეხმარებოდეს.

რა ჰქნას ამისთანა გარემოებაში რეჟისორმა, რა ღონე იღონოს? ეს კიდევ არაფერი. „პირველები“, იმას გარდა, რომ თავიანთის „პირველობით“ ხელს უშლიან რეჟისორს, სხვებსაც ჰრყვნიან და აფუჭებენ. საქმე ის არის, რომ, რაკი სცენაზე „პირველობა“ დაწესდება, ამ პირველებს „მეორენიც“ მისდევენ და „მესამენიც“. განუვითარებელ კაცთა შორის წახედულობისთანა მავნე არაფერი არა არის-რა. ეს „მეორენი“, პირველებისაგან განსწავლულნი, უმეტეს სიჯიუტეს და უვიცობას იჩენენ; ხშირად ესენი უფრო აჭირებენ საქმეს.

განა ჰკვათა მყოფელი კაცი იტყვის, რომ როლებში პირველი იყოს, მეორე ან მესამე? ყველა როლი როლია, დიდი თუ პატარა, დრამატიული თუ კომიკური, ქალისა თუ კაცისა. ყველა როლი შესაფერ ნიჭსა და უნარს თხოულობს, ყველა როლს შესრულება უნდა და ვაშა და დიდება იმას, ვინც უფერულს, ან თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, „ნაკლებ მასალიან“ როლს დიდის ხელოვნებით გააპიროვნებს და ცხოვლად დაასურათებს!...

სცენის მოყვარე

ჩვენებური ამბები

გაგრა (აფხაზეთი). მინისტრთა კომიტეტმა დააწესა დროებითი მმართველობა გაგრის საკლიმატო სადგურისათვის აბხაზეთში. ეს სადგური და მთელი მისი მიდამო 14 ათასი დესეტინა იქნება მის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მთავარ-გამგებლობაში. მართვა-გამგეობა ამ ქვეყნისა ადმინისტრატებურადა და მეურნეობის მხრივ დაევალება მის უფროსს, რომელსაც ჰნიშნავს თვით პრინცი საზოგადო წესისამებრ.

—

ბათუმი. 7 ივლისს მეორედ დანიშნული არჩევნებიც ქალაქის თავის მოადგილის ასარჩევად არ შესდგა. ამის გამო საქალაქო დებულების ძალით, გამგეობის ორ წევრთაგან ერთ-ერთის დანიშვნის საქმე ქალაქის მოადგილედ უნდა გადასწყვიტოს ბათუმის სამხედრო გუბერნატორმა.

ეტყობა ბათუმში საზოგადოება ვერ იჩენს ერთ სულობას იქ, სადაც ერთი პირია საჭირო. სამწუხაროა ფრიად. ცალკცალკეობა, დას-დასობა ხეირს არსად დაგვაყრის და მით უმეტეს აქ, ბათუმში.

—

სოფ. საქობო (სიღ. მაზ). რაც ჩვენსკენ ვაზის სენი გაჩნდა ასეთი, კარგი მსხმოიარობა ჯერ არა ჰქონია სოფ. საქობო-ასანურის ვენახებს, როგორც წლეულს. ხალხი, ჰხედავდა-რა ვენახის კარგს ყოფას, დიდად გახალისებული იყო, არ ზოგავდა არც შრომას, არც მწარე ოფლით გადარჩენილს ორიოდე გროშს ვენახის წამლობისათვის. მაგრამ მედგარმა სტიქიონმა არ შეიბრალა საწყალი გლეხი და 1 ივლისს დიდის ჭექა-ქუხილით წამოსულმა სეტყვამ თავის ნაშრომ-ნაღვაწზედ მთლად ხელი დააბანინა. ეს სეტყვა, რამდენადაც მოულოდნელი, იმდენადვე დიდად ზარალიანი იყო. ძრიელ იშვიათად მოსწრებიან აქ მკათათვეში სეტყვას, ხშირად მოდის ხოლმე უფრო აპრილმაისში. ადრეულა სეტყვას თურმე ისეთი ზიანი არ მოუტანია, როგორც მოგვიანებულს, რადგან ადრეულა სეტყვით დაზიანებული შავ-შაობით ცოტათი მაინც ისევ კეთდება; ახლანდელმა სეტყვამ-კი სულ ერთიანად ჩაქლალ-ჩანაყა მტევანი და, როგორც ადუღებული წყალი გადაასხას, ისე გათუთქა და გააწითლა. მზე რომ დაჰხედავს, გაახმობს და გააცვინებს, ან ზედ შავად შეაჭკნობს.

დიდს ზარალში ჩააგდო აგრეთვე სეტყვამ მეთამბაქოეები. დასაკრებად თავმოღერებული თამბაქო სულ ძირიანად ამოაგდო, ასე რომ მისი პატრონები იძულებულნი შეიქმნენ სულ გადაეჭრათ, რომ ეგებ მეორედ ამოხეთქოსო, მაგრამ როდის რაღა მოესწრებათ? ან ასეთი თანბაქო რის-ღა მაქნისი იქმნება?! დესეტინა თამბაქოზედ ,დაკრეფამდის 200—250 მანეთამდის იხარჯება და ადვილად წარმოსადგენია, თუ რა თავზარდამცემი იქნებოდა სეტყვა თამბაქოს პლანტატორებისთვის, რომლებიც სულ ქართველი გლეხ-კაცობაა და მომეტებული მათგანი ვალად აღებულ ფულით აკეთებს პლანტაციებს.

ზარალი სეტყვისაგან ამ ორს სოფელში დიდია. ამავე დღეს დიდი ზარალი მისცა სეტყვამ სოფ. ჰოტორს, მაღაროს, ბოდბეს და ბოდბისხევს.

წლეულს პურის მოსავალი ქიზიყში საზოგადოდ კარგი იყო, მაგრამ გამუდმებულ წვიმების გამო მზად მომკილი ლამის სულ აუჯეჯილდეთ.

—

ს. ძევრი (იმერეთი, ქუთაისის მაზრა). რვა წელიწადზედ მეტი იქნება, რაც ადგილობრივი მღვდელი ნესტორ როფაქიძე სცდილობს ამ სოფელში სკოლის დაარსებას, მაგრამ მისმა მეცადინეობამ ამაოდ ჩაიარა თუმცა მრავალჯერ შესდგა განაჩენები სკოლის დაარსების შესახებ, მაგრამ საქმის დაწყებას-კი არა ეშველარა; მიზეზი ამისა ის გახლდათ, რომ სოფელში თითო-ოროლა უკულმართი და კეთილი საქმის მოწინააღმდეგე ყოველგან არის და ამ სოფელში კი არამც თუ ორი, ათზედ და ოცზედაც მეტია.

თუმცა აქაურებისათვის სკოლის დაარსება გასაჭირი არ იყო, რადგან ადგილი დიდი ხანია რაც შეძენილია, მაგრამ ზოგს ამ ადგილის დაკარგვაც-კი სურდა. საქმემ იმ ზომამდე მიაღწია, რომ სკოლის აშენების იმედიც-კი დაეკარგათ. სკოლის დაარსების მოწინააღმდეგეებმა სხვა რომ ვერა გააწყეს-რა, შეიპარნენ სკოლისათვის შეძენილ ადგილში და რაც ხეები იდგა, ერთიანად მოსპეს. რასაკვირველია, ასეთი მოქმედება და დამნაშავეები არ დაიმალებოდა. შეიტყო თუ არა მღვდელმა ნ. როფაქიძემ ეს გარემოება, აცნობა ადგილობრივ მამასახლისს, რომელმაც შეჰკრიბა ცნობა და ბოქაულს მოახსენა. ამ დროს ბოქაულის თანამდებობას ასრულებდა ბ. მახარაძე, რომელმაც დიდი სიმარჯვე გამოიჩინა. დამნაშავე პირებს მოჭრილი ხეები, თავიანთ სახლებში წაღებული, იქვე მიატანინა, საზოგადოების წინაშე ბოდიში მოახდევინა, მოჭრილ ხეებზედ ვაჭრობა მოახდინა, რომლებიც გაიყიდა ოცდა ცამეტ მანეთზედ მეტად; ეს ფული სკოლის შენობისათვის გარდაეცა არჩეულ კაცებს. დამნაშავეებმაც სურვილი გამოაცხადეს სკოლის დავეხმარებითო და განაჩენს მოაწერეს ხელი. დღეს სკოლისათვის სახლი უკვე შეიძინეს და ყველანი ისე გულით არიან მოწადინებულნი, რომ ამა წლის პირველი ენკენისთვისათვის შენობა ყოველ გვარათ მოწყობილი იქმნება და სწავლაც დაიწყება.

ვენახები და ყანები ძლიერ კარგია, რადგან თავის დროზედ წვიმები და ლამე ნამი უკლებლად აქვს. რაც შეეხება პურის მოსავალს, მოსალოდნელზედ მეტი მოვიდა. ეს წელიწადი სწორეთ ჩვენდა საბედნიეროდ დადგა. მართალია, ბევრი ნაკლულევანება გვაქვს და უმეტესად უგზოობა, მაგრამ უიმედობა არ ვარგა, რადგან გზის კეთების საქმეს ეხლა მთავრობისაგანაც აქვს ყურადღება მიქცეული და იმედია, ჩვენს გზებსაც მიაქცევენ ყურადღებას.

მექი როფაქიძე.

—

დაბა აბასთუმანი. აბასთუმანი,—სახელ-განთქმული სააგარაკო ადგილია სამკურნალო წყლების გარდა, აქ ჰაერიც საუცხოვოა, მაგრამ თან-და-თან ქალაქის სიცხე-პაპანაქება დასჩემდა. ეს იმით თუ აიხსნება, რომ ბევრი სააგარაკო სახლი აშენდა ბაზართან. აქ ყველაფერი ძვირია: ათი წუთით აუზში ბანაობა ექვსი შაური ღირს, ორის წუთით „დუშის“ მიღება ათი შაურია. ერთი პატარა ოთახი, სადაც ერთისთვისაც საკმაო ჰაერი არა ტრიალებს, სულ უკანასკნელი ხუთი-ექვსი თუმანი ღირს თვეში და სხვა სანოვაგე რაღა საკითხავია! მკურნავი წყალი, თუ ესე ითქმის, და მშვენიერი ჰაერი, რომელიც უფრო უხდება ადამიანს, ვიდრე რომელიმე წამალი, ღარიბის და მშრომელი მუშა ხალხისათვის ხელმიუწდომელია! აქეთ წამოსვლა ხომ ბორჯომიდგან ოცი მანეთი ჯდება. თუ ვინმე ამხანაგი იშოვნე, შეიძლება ხარჯი შეგიმცირდეს. მეეტლეების თავგასულობას საზღვარი არა აქვს.

ერთს ქართველს აქვს მოწყობილი ბუფეტი და, სხვებთან შედარებით, ყველაფერი იაფია: თვეში სადილი სამნაირ საჭმლით 15 მანეთი ღირს. პირველ ივლისიდგან შესანიშნავი დარი დაიჭირა და მოაგარაკენიც ბლომად არიან.

რუსეთი

მ. იოანე კრონშტადტელს მიუღია შარშან 600 ათასი მანეთი შეწირულება საქველ-მოქმედო საქმეთათვის. ყოველ-წლივ თურმე იღებს მამა იოანე 600—800 ათას მანეთს შეწირულებას.

— აპირობენ ფინლიანდიის რკინის გზებზე სამგზავრო მატარებლების ტარიფს მოუმატონ.

— პეტერბურგს უკვე გადაუდვია 15 ათასი მანეთი სავაჭრო სკოლის დასაარსებლად. ფასი სწავლებისა წელიწადში იქნება 40 მან., მაგრამ სკოლის მზრუნველს ნება ეძლევა მრავლად ანთავისუფლოს ამ ფასის შეტანისაგან ღარიბნი და ხელმოკლენი.

— მერმის, იანვარში მოწოდებული იქნება პეტერბურგში კრება რუსეთის ყველა წერა-კითხვის საზოგადოების წარმომადგენელთა. უკვე შემუშავებულია წესი და პროგრამა კრებისა. სხვათა შორის უნდა განხილულ იქმნას შემდეგი საგნები: მოწყობა საკვირაო—საღამოს სკოლებისა მრავლად, როგორ შეირჩინონ სახალხო სკოლაში შეძენილი ცოდნა სკოლაში ნამყოფებმა, როგორ უკითხონ ხალხს წიგნები, სახალხო ორკესტრებისა და მგალობელთა გუნდთა გამართვა, როგორ გავრცელდეს ხალხში იაფფასიანი წიგნები. კრება 6—8 დღეს გასტანს. კრების მოწყობა ითავა პეტერბურგის წერა-კითხვის საზოგადოებამ.

— ჟიტომირმა დააარსა ოთხი სტიპენდია რუსეთის ნიჭიერის მწერლის ვ. კოროლენკოს 50 წლის იუბილეის სახსოვრად. კოროლენკო ჟიტომირელია და იმიტომ სცა ასეთი პატივი ქალაქმა თავისს ქვეყნის შვილს, სახელოვანს მწერალს.

— პეტერბურგმა დახარჯა სულ ტროიცკის ხიდის გაკეთებაზედ 8 მილიონ მანათზედ მეტი. საკუთრად ხიდს მოუნდა 5 მილიონი, სანაპიროების გამაგრებას და კალამაზებას— 3 მილიონამდე, ახლა ობელისკის დადგმა, ახლა ელექტრონის განათების მოწყობა და სულ ხიდი დაჯდა 8.213,030 მან. 35 კაპ.

— აპირობენ რკინის გზის მოხელეთა მოსამზადებლად სკოლის დაარსებას. სკოლა დაარსდება ან ხარკოვსა და ან კიევში.

— ახალის განკარგულებით, საკომერციო ბანკების ნება მიეცათ უპირულ მოვალეებისაგან მამული მიიღონ გირაოდ ვექსილის მაგივრად, თუ გამგეობა და საბჭო თანახმა იქნებიან. მამულის დაგირავება შეიძლება მხოლოდ იმ ვადით, რა ვადითაც ვექსილით იძლევა ფულს ბანკი.

უცხოეთი

საფრანგეთი. გაზ. „გოლუას“ სიტყვით, პრეზიდენტ ლუბეს წინადადება მიუცია მინისტრთა საბჭოსათვის, რომ ხელი მოეწერათ დეპეშაზე, რომელიც პაპისათვის უნდა გაეგზავნა, ნიშნად პატივისცემისა და თანაგრძნობისა. ამავე აზრით გაჰგზავნა რომს ნიზარი. მინისტრებმა უნდა გადასწყვიტონ, დაესწროს თუ არა პაპის დასაფლავებას საფრანგეთის წარმომადგენელი. შესაძლოა, უარჰყონ ეს აზრი, მაგრამ ლუბე მაინც გაჰგზავნის თავის მხრივ ოფიცერს.

სერბია. სერბიის ყოფილ მინისტრ ვუიჩს საუბარი ჰქონია გაზ. „ნოვი სრბობრან“-ის რედაქტორთან და მეტად ცუდად მოუხსენებია სერბიის მხედრობა. ეს მხედრობა ვერა სდგას თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაფერს სიმაღლეზედ და პეტრე მეფემ, უპირველეს ყოვლისა, სრულიად უნდა შესცვალოს სამხედრო მმართველობაო.

იტალია. ვატიკანის აგიტატორების გამოანგარიშებით, კარდინალთა კრებულში ყველაზედ მეტი ხმა რამპოლასა და კაპეჩელატროს მოუვა; პირველს 20—22, მეორეს 16—18; სხვა კანდიდატები-კი უფრო ნაკლებს მიიღებენ.

იმ ჯგუფს, რომელიც კარდინალ კაპეჩელატროს ემხრობა, ავსტრიელ და გერმანელ კარდინალთა შემწეობის იმედიცა აქვს.

იმ შემთხვევაში, თუ კარდინალნი ვერ შესთანხმდნენ რამპოლასა ან კაპეჩელატროს შესახებ, პაპის კვერთხი დარჩება, ალბად, კარდინალ გოტტის, რომელსაც მეგობრული განწყობილება აქვს რამპოლასთანაცა და კაპეჩელატროსთანაც. გოტტის მხარს დაუჭერენ საფრანგეთისა, ესპანიისა და რამდენადმე ავსტრიისა და გერმანიის კარდინალნიც.

როგორც ვატიკანის წრეებში ირწმუნებიან, რამპოლას აზრს კარდინალთა მო-

---

კი უნდა ისწავლებოდეს, როგორც ცალკე საგანი“.

როსტომაშვილს კრინტი არ დაუძრავს არც გოგებაშვილის და არც სხვების წინააღმდეგ და ამ სიჩუმით სავსებით შეამოწმა, რომ მისი ნათქვამი სრულის სისწორით იყო გაგებული მათგან...

მეორ-მესამე დღეს ყველა ადგილობრივმა გაზეთებმა: ქართულმა, რუსულმა და სომხურმა, ერთხმად აღნიშნეს, რომ როსტომაშვილმა მოითხოვა — საგნების სწავლება მეორე წლიდგან პარალელურად რუსულს ენაზედაც იყოსო. ესევე იყო ჩაწერილი და აღბეჭდილი სამეურნეო საზოგადოების პროტოკოლში.

შეუძლებელი იყო, რომ საზოგადოებაში არ დაბადებულიყო დიდი დრტვინვა როსტომაშვილის წინააღმდეგ. და ასეც მოხდა.

როსტომაშვილმა კარგად იგრძნო, რომ იგი ჩავარდა იმისთანა მდგომარეობაში, რომელიც არ გამოუცდია თვით უბადრუკს გუბერნატორს მწვანე კუნძულისას. მას წინ ედო თავის დასაღწევად ერთ-ერთი ღირსეული გზა: აღიარება თავისი ცოდვისი, მონანიება და ბოდიშის მოხდა საზოგადოების წინაშე, მაგრამ ამისთანა საქციელს კარგი უნარი უნდა, და ამ გვარს უნარზე კი მწყრალად ყოფილა ჩვენი ავტორი. ხსნა მან სხვა გზით მოინდომა, მაგრამ იმისთანა გზით, რომ თავისს ერთს დიდს ცოდოს დაუმატა მეორე, უფრო კიდევ უდიდესი ცოდო. მან არც აცივა, არც აცხელა და მამაცურად, წარბშეუხრელად გამოაცხადა თავისს ჟურნალში: სამეურნეო საზოგადოებაში მე ის კი არა ვსთქვიო, რომ სახალხო სკოლებში საგნები უნდა ისწავლებოდეს რუსულს ენაზედაცაო, არამედ ისა, რომ ამ ენის სწავლება, როგორც ცალკე საგნისა, მეორე წლიდგან უნდა იწყებოდეს, და არა პირველი წლიდგან, როგორც მოხსენება ითხოვდაო; საგნების სწავლებაც ქართულს ენაზე უნდა სწარმოებდეს არა სამ-ოთხს წელსაო, არამედ ხუთსა და ექვსსაო; და იმოდენა საზოგადოებაში ვერ აღმოჩნდა იმისთანა გაბედული მოსარჩლე დედა-ენისაო, რომ ჩემი თამამი აზრისათვის მხარი დაეჭირაო.

სამოც წელიწადზე მეტია, რაც ამ ცოდვილი მიწის სტუმარი ვარ, და ჩემს სიცოცხლეში არც ჩემს ყურს გაუგონია და არც ჩემს თვალს წაუკითხნია ასეთი წარბ-შეუხრელი გადათქმა.

ამ ოინის წყალობით, ჩვენი მამაცი რედაქტორი, ერთი მხრივ, პოლიტიკანების წინაშე გამოვიდა უერთგულესი მოსარჩლე სახელმწიფო ენის ინტერესებისა, და სხვას ყველას მიაყენა ჩრდილი ორგულობისა, მეორე მხრივ, ქართველი საზოგადოების თვალში გამოიჭიმა, როგორც უებრო, შეუდარებელი მოსარჩლე ქართულის ენისა, და ყველა სხვა ქართველებს დასწამა გულგრილობა და დაუდევრობა ამ ეროვნულის საუნჯის დაცვაში.

„ქართველების უბედურება იმაში მდგომარეობსო,—უთხრა ერთხელ კამათის დროს ბეჭდვით როსტომაშვილმა ბ-ნს მიხეილ ნასიძეს,—რომ დიპლომატია არ ესმითო“. და აჰა ჩინებული გაკვეთილიც როსტომაშვილის დიპლომატიისა!

(დასასრული იქნება)

წარსულიდგან

პატარ-პატარა ამბები

ე. გ. ვეიდენბაუმისა

VI. საარქიტექტურო დანაშაული.

გენერალ-ადიუტანტი ნ. მ. სიპიაგინი, რომელიც გაუმწესებიათ ტფილისის სამხედრო გუბერნატორად და სამოქალაქო ნაწილის გამგედ საქართველოში 1827 წ. მარტის თვეში, დიდი მოყვარული ყოფილა სააღმშენებლო საქმისა. სააღმშენებლო ხელოვნება ისე ჰყვარებია სიპიაგინს, რომ შემდეგში გრაფი პასკევიჩი ბრალსა სდებდა გენერალსა, იმის მაგიერ რომ თვალ-ყური ედვო პირდაპირი თვისის მოვალეობისათვის, მართლ-მსაჯულება დაემყარებინა და სამოქალაქო ნაწილში წესი და რიგი შემოეღო, ტფილისის სისუფთავეს მისდევდა და კოხტა სახლებით ამკობდა, რა არის, თვისი მოქმედება თვალსაჩინოდ გაეხადაო. მოსვლისათანავე ტფილისში, სიპიაგინმა დააარსა სამოქალაქო გუბერნატორის თავმჯდომარეობით განსაკუთრებული კომიტეტი და დაავალა: გაამშვენიერეთ ქალაქიო. ტფილისს ყოველთვის ეჭირვებოდა კეთილგანწყობილება და განსაკუთრებით მაშინდელს დროს. ვისაც როგორა სურდა, ისე იკეთებდა სახლებსა. სრულიად არავინა ზრუნავდა, რომ გასავლელად გზა დაეტოვებინა. სიპიაგინმა მკაცრად და სასტიკად მოჰკიდა ხელი საქმესა. თვითონ დანიშნა ადგილები, სადაც უნდა აეშენებინათ სახლები და დაავალა ყველას, რომ კომიტეტისთვის წარედგინათ დასამტკიცებლად შენობათა ფასადები. ვინც ამ ბრძანებას დაარღვევდა, სასტიკად დაისჯებოდა კანონის მიერ და არავითარი შეღავათი არ მიეცემოდა.

ტფილისის მოქალაქე ავეტიქა ხარაზოვმა წარუდგინა კომიტეტს მომავალი ფასადი. ფასადის სურათს ეღირსა დამტკიცება და დაიწყეს შენობა. სახლი თითქმის დასრულებული იყო, როდესაც საქართველოს საგუბერნიო არქიტექტორს ბარაშკინს მოესურვებინა შენობის დათვალიერება. ბარაშკინი მისულა, შეუხედია შენობისათვის და ელდა სცემია. ხარაზოვისათვის ნება მიეცათ დაედგა იონიური სტილის სვეტები, იმას-კი აუღია და თვითნებობით დორიული სტილის სვეტები დაუდგამს. ამას, ასე თუ ისე, აპატიებდნენ, მაგრამ საქმე ის იყო, რომ დორიული სტილის სვეტებზე წინანდელი იონიური კარნიზი შერჩენოდა! ბარაშკინმა იმ წუთსავე მუშაობა შეაჩერა და პოლიციის პირით გამოუცხადა იონიურ კარნიზიან დორიულ სტილის მოყვარულს, რომ „ასეთი საქციელის მოთმენა ყოვლად შეუძლებელია და ეწინააღმდეგება საარქიტექტურო წესების სისასტიკესო“. ხარაზოვი მაინც არ შედრკა. მეორე დღეს ერთი ორად მეტი მუშა დაიქირავა და სცდილობდა როგორმე მიემალ-მიეჩქმალა კარნიზი არქიტექტორის თვალთაგან. ხარაზოვი ოსტატობით ვერას გახდა. ბარაშკინი ხელახლა მივიდა შენობის დასათვალიერებლად და მუშაობა შეაჩერა. საქმე კომიტეტს მოხსენდა, რომელმაც დაადგინა: აღდგენილ იქმნას იონიური სტილი, პოლიციას კი ებრძანოს გამოძიება მოახდინოს ხარაზოვის მიერ ჩადენილ ურჩობისა და ლირფობის შესახებაო.

ა. ყიფშიძე.

მავალ კრებულში დიდი მნიშვნელობა ექნება, თუმცა კარდინალ ორელიას მომხრენი არავითარ ღონისძიებას არა ჰზოგავენ, რომ როგორმე შეამცირონ მისი გავლენა.

კაპეჩელატროს არჩევა ვატიკანისა და კვირინალის შერიგებას მოასწავებდა. მხცოვანი კარდინალი დიდი ხანია ოცნებობს ამ შერიგებაზედ, არა ერთხელ აღუძრავს ეს საკითხი ლეონ მე-XIII-ის დროს, რომელიც ამ შემთხვევაში თავის წინამოადგილის პიუს IX აზრს უერთდებოდა „non possumus" (არ შეგვიძლიანო).

კარდინალი კაპეჩელატრო მარსილიელია, შთამომავლობით იტალიელი; დაიბადა 1824 წელს; კარდინალობა 1885 წ. მიიღო.

რომის უმაღლეს წრეებში და თვით კვირინალშიაც კაპეჩელატრო ყველას უყვარს და დიდ პატივსა სცემენ. ვატიკანში დიდად განათლებულ და პატიოსან კაცადაა ცნობილი.

კაპეჩელატროს არჩევა მშვიდსა და წყნარს მმართველობას უქადის ვატიკანს. რეფორმებს არას შემოიღებს. კაპეჩელატრო იმ აზრისაა, რომ ლეონ მე-XIII ყოველსავე კარგად განაგებდა და ცვლილების მოხდენა სრულიადაც არაა საჭირო. ცვლილება მხოლოდ კვირინალთან პირად დამოკიდებულებაშია მოსალოდნელი.

თუმცა კაპეჩელატრო კურიაში კონსერვატორია, მაინც დიდის პატივით ეპყრობა რამპოლას, რომელსაც ხუმრობით უწოდებს—„ჩვენი ლიბერალიო".

სხვა კარდინალებთან კაპეჩელატროს მუდამ კარგი განწყობილობა ჰქონდა, არასოდეს არც ერთთან უსიამოვნება არ მოსვლია. კაპეჩელატრო ყოველთვის მხურვალე მონაწილეობას იღებდა ვატიკანის ბჭობა-თათბირში, მაგრამ უკიდურესობას ერიდებოდა და არა ერთხელ შეურიგებია ერთმანეთის მოცილე კარდინალნი. ამიტომაც კაპეჩელატროს ისე შეჰყურებენ, როგორც ვატიკანის დამამშვიდებელს, თუმცა დროებით, რადგან იგი უკვე ღრმა მოხუცია.

კაპეჩელატროს არჩევა იმაზედაცაა დამოკიდებული, თუ ვის დაასახელებს თავის მდივნად, ე. ი. ვის ჩააბარებს იმ თანამდებობას, რომელიც ლეონ მე-XIII დროს რამპოლას ეჭირა.

— ყველა კარდინალნი ხნიერი კაცები არიან. გარდა პირად ღვაწლისა ეკკლესიის წინაშე, ძლიერნი შემწენი უნდა ჰყავდეს ვატიკანის წრეებში კაცსა, რომ 50 წლის უადრეს ეღირსოს კარდინალობას.

რაიცა შეეხება იმ კარდინალებს, რომელთაც პაპის მოადგილედ ასახელებენ, მათი წლოვანება ასეთია: კარდინალი ორელია—75 წლისაა; გოტტი—69; სვამპა—54; ვანუტტელლი—71; ალიარდი—61; რამპოლლა—60; სარტო—68 და კაპეჩელტარო—80-სა.

ყველაზედ უფრო ცოცხალი და მხნე კარდინალი რამპოლაა. მაგრამ კაპეჩელატროც, თუმცა 80 წლისაა, მეტად მხნე და ჯანსაღი კაცია; ამასთანავე იშვიათი ოხუნჯი. კაპეჩელატროს შეუძლიან სრულიად დაუღალავად მოისმინოს ფეხზე დგომით მთელი წირვა და ვრცელი ქადაგება.

ეჭვს გარეშეა, რომ მყუდრო და თავდაჭერილი ცხოვრება აძლებინებს კარდინალებს ღრმა მოხუცებულობამდე მხნედ და ჯანსაღად.

ინგლისი. ქალაქ დუბლინის „მამებმა" 40 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 37-სა, უარჰყვეს წინადადება ედუარდ მეფისათვის ადრესის მირთმევისა დუბლინის ნახვის გამო. გერმანულ გაზეთთა სიტყვით, კენჭის ყრის დროს დიდი შეტაკება მომხდარა. დიდ-ძალი ხალხი გარს შემორტყმია ქალაქის საბჭოს, ძალ-დაძალ შეუმტვრევია კარები და შესულა. გამოუწვევიათ პოლიცია, მაგრამ პოლიციელთა დანახვაზედ კიდევ უფრო გააფთრებულა ხალხი. ნაციონალისტ კელლის ავად უხსენებია მეფე. როდესაც ზოგიერთს მოუთხოვნია,—უკანვე წაიღოს ორატორმა სიტყვაო,—ქალაქის მოურავს განუცხადებია,—არ შემიძლია კელლი ვაიძულო, რომ სიტყვა უკანვე წაიღოს, რადგან მეც თანავუგრძნობ მისს აზრსაო. ამ სიტყვებმა კიდევ უფრო გააბრაზა ხალხი. ის წევრნი, რომელნიც ადრესის მირთმევის მომხრენი იყვნენ, იძულებულნი გახდნენ პოლიციისათვის მიემართნათ, რათა გახელებულ საზოგადოებას იქვე არ აევო მათთვის წესი.

ნარკვევი

გაზეთ „Русск. Вѣд."-ი მოგვითხრობს, რომ გაზეთ „ვოლინის" რედაქციას და მის თანამშრომლებს დეპეშით მიულოცნიათ ქ. ჟიტომირიდამ მწერალ ვ. გ. კოროლენკოსათვის ორმოც-და-ათის წლის დღეობა დაბადებიდამ. კოროლენკოს, როგორც ჟიტომირის მცხოვრებს, პასუხად წერილი მიუწერია, რომელიც ჟიტომირის გაზეთ „ვოლინშია" დაბეჭდილი. კოროლენკო სხვათა შორის სწერს:

„ძალიან მასიამოვნა ჩემის სამშობლო ქალაქის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ამხანაგურმა მოკითხვამ. მე კიდევ ცხოვლად მახსოვს ის დრო, როდესაც გაზეთი ერთობ იშვიათი მოვლენა იყო პროვინციაში საზოგადოთ და კერძოდ, რასაკვირველია, ჟიტომირშიაც. ერთობ ცნობის-მოყვარე და საზოგადო საქმეების მოყვარული ადამიანი თუ გამოიწერდა გაზეთსა. მამა ჩემი, მცირე რამ მოხელე იყო და სწორედ ამისთანა ადამიანებს ეკუთვნოდა. ის იწერავდა „სინ ოტეჩესტვას", რომელიც იმ დროს ძალიან გავრცელებული იყო პროვინციაში. ამ გაზეთში, სხვათა შორის, კარიკატურებიც იბეჭდებოდა და ეს იზიდავდა ხალხს და ამიტომ უფრო იწერავდნენ. იმ დროს ფიქრად თითქმის არავის მოსდიოდა ის აზრი, რომ გაზეთი უბრალო გასართობი-კი არ არის, არამედ დიდმნიშვნელოვანია, რომ ის ძალაა საზოგადოებისა. მაშინ რომ ეთქვა ვინმეს,—გაზეთი სატახტო ქალაქიდამ პროვინციაშიც გადაინაცვლებს, მშვიდობიან ჟიტომირშიაც, რომ იქაც ხმა-მაღლა ილაპარაკებს ხალხის არსებით საჭიროებაზე, ჩაერევა საზოგადო საქმეებში, ადგილობრივ ცხოვრების ყოველს კუნჭულში შეიჭვრეტს და შეანათებსო, რასაკვირველია, ზღაპრად მოეჩვენებოდათ. ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლების მიწურულში და სამოციან წლების დამდეგს სატახტო ქალაქებში ასტყდა კამათი ჩიჩერინსა და აქსაკოვს შორის: ერთი მათგანი ამტკიცებდა, რომ პროვინციალურის ბეჭდვითი სიტყვის არსებობა შეუძლებელია და უსარგებლოც იქნებაო, პროვინციის მკითხველთათვის საკმარისია იკითხოს მხოლოდ ოფიციალური ნაწილი საგუბერნიო უწყებათა, რომლიდამაც მცხოვრებნი გაიგებენ, თუ რა განკარგულებანი მოახდინა მთავრობამ იმათ შესახებ. ცხოვრებამ, როგორც მძლავრმა მსაჯულმა, ეს კამათი თვით გადასწყვიტა, და აი პროვინციალური მწერლობა ჩვენ თვალთა წინაშე აღსდგა, გაიშალა, გაფუფუნდა. არ გვაწყენს ხანდისხან წარსულს თვალს გადავავლებდეთ, იქ დავინახავთ, რომ მუშაობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ეს ამხნევებს და აძლევს მწერლობის ძალას სამოქმედოთ. რუსეთის მწერლობას სწორედ ამისთანა გრძნობით შეუძლიან გადაავლოს თვალი მწერლობის ისტორიას. იმას ვერ ვიტყვით, რომ მუშაობა ერთობ კეთილს გარემოებაში სწარმოებდა. მწერლობას საზოგადოთ და განსაკუთრებით პროვინციალურს, ბევრი დაბრკოლებანი ენდა დაეძლია. მწერლობას არას დროს არ აქეზებდნენ. ზოგიერთს შემთხვევაში ზიზღით არ ეკიდებოდნენ—ეს უკეთესნი წამნია მისის ცხოვრებისა, ხანკი უხშობდენ ჰაერსა და სინათლესა.

მაინც და მაინც რუსეთის მწერლობის თესლი ამოდის, ასე გასინჯეთ, ჩრდილშიაც-კი, მძლავრად და სქლად. ეს იმის მომასწავებელია, რომ რუსეთის საზოგადოება ცხოველია და სიცოცხლის უნარი აქვს, რადგანაც მისი სიტყვა არ კვდება, არამედ ჯეჯილდება და მაგრდება, თუმცა მძიმე გარემოებით არის შეზღუდული. ჩვენ, მწერლობის მუშაკთ, შეგვიძლიან უანგაროდ და წმინდის გულით ვუსურვოთ ჩვენს საქმეს აღყვავება, იმიტომ, რომ იგი ყველა სხვა საქმეებზე, ვგონებ, უფრო მთლად რუსეთის საზოგადოების საქმეა. სიტყვის თავისუფლებას უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს—ამაშია ნათელი და განახლება რუსეთის ცხოვრებისა. პროვინციალური მწერლობა პატიოსნურად ასრულებს თავის მოვალეობას, შეაქვს რა ცხოვრებაში ცნობანი ერთობისა კანონის წინაშე და სარწმუნოებრივის და ნაციონალურის თავისუფლებისა.

მაშ, ნება მომეცით, ამხანაგურის მოლოცვა-მოკითხვის გამო ვუსურვო საზოგადოთ სამშობლო სიტყვიერებას ფართო გზა წარმატებისა და კერძოდ ჩემის სამშობლო ქალაქის სიტყვიერებისასაც, ვისურვებ თქვენს და „ვოლინის" ამხანაგ—თანამშრომლებისათვის ყოველს კეთილსა".

თუ რუსეთში მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში პროვინციალური მწერლობა ოდნავ ბჟუტავდა, ჩვენში რაღა იქნებოდა? ჯერ კიდევ სამოცდაათ წლებში საქართველოს პროვინციალურ ქალაქებში გაზეთს კანტი-კუნტად იწერავდნ. მთავრობის მოწინააღმდეგე კაცად მიაჩნდათ ისინი, ვინც გაზეთებს იბარებდნენ, და თუ ვინმე კიდეც სწერდა რასმეს ქართულ გაზეთში, იგი „ბუნტოვჩიკი" იყო; ისე ერიდებოდენ, როგორც ჭირიანსა. მაგრამ ჩვენშიც დღითი-დღე მწერლობამ გზა გაიკაფა, ფეხი მოიკიდა, საზოგადო ძალად შეიქმნა და ქართველ მკითხველს ქართული მწერლობა თითქმის საჭიროებად გადაექცა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

9 ივლისი.

ჩელიაბინსკი. ციმბირის რკინის გზაზედ, ჩელიაბინსკს აქეთ, მატარებლების შეჯახება მოხდა. დაიმსხვრა ხუთი ზეთით დატვირთული ვაგონი. მოკლულ იქმნა ორი კოჩეგარი; ერთ ტეხნიკს ფეხები გადასჭრა; მემანქანის თანაშემწენი დაიმდუღრნენ; მძიმედ დაჭრილია 5 კაცი.

კარაკასი. ქუჩებზედ სამის დღის სისხლის ღვრის შემდეგ, მთავრობის ჯარებმა დაიჭირა სიუდადი და ბოლივარი. ბრძოლაში მოკლულ იქმნა ათასზედ მეტი კაცი.

ბელგრადი. სერბიის კონსულები ძველ სერბიასა და მაკედონიაში—სალონიკის, უსკიუბის და პრიშტინის—დათხოვნილ იქმნებიან სამსახურიდგან და მათ მაგივრად დაინიშნებიან: რისტიჩი—უსკიუბში, ბარიაკ ტაროვიჩი—სალონიკში, ხოლო რუჟიჩი და მარკოვიჩი-კი—მონასტირსა და პრიშტინში.

ოფიციალურმა გაზეთმა გამოაქვეყნა ოცი ახალი დანიშნულება ბატალიონთა უფროსების შესახებ.

რომი. პაპს არავითარი განკარგულება არ დაუტოვებია კრებულის შესახებ, რის გამოც წინანდელი დადგენილებანი შეუცვლელი დარჩება.

გაზ. „Voce de la Verita" იტყობინება,—პაპის სხეულის შემურვის დროს აღმოაჩინეს გულის ფოსო, სადაც ნახეს სითხე, რომელიც პლევრიტს წაუგვლია. ქვემოდა ზემო ნაწილები ფილტვის მარჯვენა მხარისა გამაგრებულია (ჰეპატიზაცია). ოქმი ამტკიცებს დიაგნოზს ფილტვების ანთების შესახებ, რომელსაც ზედ დაერთო პლევრიტი.

პაპის გვამი დასვენებულია ბალდახინზედ ტახტის დარბაზში.

10 ივლისი.

ნეაპოლი. აგერ რამდენი ხანია, არ შეწყვეტილა ამოტევება ნაცარ-ტუტისა ვეზუვის მიერ. ამოტევებას თან სდევს დიდი შუილიცა.

რომი. დიდებულნი პაპის სასახლისა, სადიპლომატო კორპუსი და სხვა მაღალი ხარისხოვანნი მოდიან ვატიკანში პაპის ნეშტის სანახავად. საღამოს 8 საათზედ გვამს ტაძარში გადაასვენებენ.

ჟიტომირი. საბჭომ საგანგებო კრებაზედ გადასწყვიტა ეწოდოს ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას მწერლის კოროლენკოს სახელი, რომელიც ჟიტომირში დაბადებულიო. კოროლენკოს ქუჩა დაერქვა მცირე ბერდიჩევის ქუჩას, რომელზედაც სამი დედათა გიმნაზიაა და ერთი ვაჟთა გიმნაზიაც იყო, რომელშიაც აღიზარდა კოროლენკო და სახლი, საცა იგი დაიბადა.

სტამბოლი. აქ გზად გამოიარა საბერძნეთის ბატონიშვილმა ქრისტეფორემ და მიღებულ იქმნა ხონთქრის მიერ. ბატონიშვილს ებოძა ორდენი პირველ ხარისხის მეჯიდიესი, ბრილიანტებით მოჭედილი.

სოფია. რამდენიმე ჯუფთი ამ დღეებში სცდილობდა ბულგარიის საზღვრის გადმოსვლას, მაგრამ ბულგარიის დარაჯებმა ნება არ მისცეს. სარდალი სარაკინოვი დააპატიმრეს სწორედ იმ დროს, როცა საზღვარს გადმოდიოდა და აქ მოიყვანეს.—დიდი ბრძოლა მოუხდა აჯანყებულთა რაზმს ოსმალთა ჯარის ბატალიონთან კრატოვს ახლო. აჯანყებულთ ნაღმი იხმარეს და მტრის აფეთქებას მიჰმართეს. ბევრია დაჭრილი.—დელეგაციამ დაბეჭდა ანგარიში მთავართან ყოფნისა და დაუგზავნა ყველა დეპუტატებს.

პეტერბურგის ბირჟა, 8 ივლისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინში 100 მარკაში. . . .	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები.	94,40
ბერლინში ,, ...	46,30
პარიჟში ,, ...	—
პარიჟის დისკონტი.	5—6½ %
4% სახელმწიფო რენტა. . .	98¾ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ. . . .	100¾ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკის . .	95⅛ მყიდ (?)
5% შინგ. სესხის მოგებ. ბილ. 1864 წ.	444½ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ. . . .	341½ წვ. გაყ.
5% გირავნ. მოგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	290 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . .	92½
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% უთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
ქცეაქბი ,, ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	403 წვ გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. . .	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილისწ. 01 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 8 ს. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს; 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 2). წ. საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3)

ავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

გზჟარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/₇₃ ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/₉₁ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/₈ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/₁₀ დილის 9ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს 10 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 28 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

ფორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

გამოსადეგი ცნობა.

პირუტყვთა სამკურნალო,

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელობაზედ დაარსებული, პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილით 8 საათიდგან 10 მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი—1½-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა 1903 წლის 1 აგვისტოს შუადღის 12 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ოთხნაჭრიანის 400 ჩორსო საჟენის შეშის დასამზადებლად ერთის წლის განმავლობაში ქალაქის დაწესებულებათა, ტფილისის ადგილობრივ ჯარისა და ტფილისის კამენდანტის მმართველობისათვის.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, პირობათა შეტყობა შეუძლიათ ქალაქის მმართველობის 1 განყოფილების კანცელარიაში ყოველ დღე ნაშუადღევის 2 საათამდე კვირა უქმეებს გარდა.

(3—6.—2).

ზემო ავჭალაში, ბაქანს ახლო, იყიდება

საგარაკო ადგილი,

რომელზედაც ვენახია გაშენებული, 1.000 ჩორსო საჟენი. ფასი 2.500 მან. შეიძლება გაიყიდოს პატარა ნაჭრებადაც, 100—200 ჩორსო საჟენი. ფასი საჟენისა 2—3 მანათი. მსურველთ მიჰმართონ შ. დ—ს „ივერიის" რედაქციაში.

(10—3)

ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

სიმღერა აკაკისა. ფასი	15 ,,
თამარ მეფის სურათი აკაკის ლექსით.	6 ,,
პატარა ჩონგური ლექსი (დედა-ენა).	5 ,,
თამარ მეფე მოთხრობა აკაკისა . .	5 ,,
ვაჭრული ტკბა, ლექსი აკაკისა. . .	5 ,,
დათუნა გოცირიძე **როსტომ ერისთავი** ძველებური ამბავი აკაკისა ..	5 ,,
აბრამის და იობის ლექსი	3 ,,
ოქრუა (ხალხური ზღაპარი)	5 ,,
ორი ძოსატყუილა **ბიჭია მენახირე** **მეფე და სკვინჩა** ხალხური ზღაპარი.	10 ,,

ვინც მოისურვებს ამ წიგნების სყიდვას ან დაბარებას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіевская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

„**გამოვიდა და იყიდება ყველგან**

„ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების" მიერ ახლად გამოცემული წიგნი

ბარტეკ ძლევამოსილი

ჰენრიკ სენკევიჩისა

IV+106 გვ. ფასი 20 კაპ.

საწყობი ქაღალდის

მოსკოვი 1882 წ. **დიტიატკოვსკის ამხანაგობის** ნოვოგოროდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, ალბომის ქაღალდი აგრეთვე ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66.

(30—6.—11)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 іюля 1903 г. Типографія Гутенбергъ" (кн. Гр. Н. Діасамидзе), д. Груз. Дворянства. დროებით-რედაქტორი ბ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი